პანდემიის სტრესისა და ოჯახის ფუნქციურობის გავლენა ინტერნეტ თამაშისა და აზარტული თამაშის ქცევაზე სტუდენტებში

სალომე კაკაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოტრავმატოლოგიის) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სალომე კაკაბაძე, 10 ივლისი, 2020 წელი.

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე თვეა მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დგას. გამოწვევა ახალ კორონავირუსს (Covid-19) უკავშირდება, რომელმაც ძალიან სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც. პანდემიის დროს ერთ-ერთი მთავარი მიზანი საზოგადოებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაა. ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ კი, სტუდენტობა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ასაკია, მათ შორის, ონლაინ თამაშის (ე.წ. გეიმინგი) და აზარტული თამაშის (ე.წ. გემბლინგი) მიმართ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პანდემიის სტრესის, ონლაინ თამაშისა და ოჯახის ფუნქციურობა-დისფუნქციას შორის კავშირის გამოვლენა.

კვლევა ეყრდნობა რაოდენობრივ მიდგომას, ონლაინ გამოკითხვას. კვლევის ინსტრუმენტი შედგენილია სამი განსხვავებული კითხვარისგან: პანდემიასთან დაკავშირებული ვითარების გავლენის შემსწავლელი კითხვარი; ოჯახის ფუნქციონირების საკვლევი კითხვარი (FAD) და ონლაინ თამაშებისა (გეიმინგი) და ონლაინ აზარტული თამაშების (გემბლინგი) - საკვლევი კითხვები ამოღებული ESPAD კითხვარიდან.

კვლევის მონაწილეები არიან სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხური), სულ 230 მონაწილე, აქედან 101 - მამრობითი, ხოლო 130 - მდედრობითი სქესის.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირი ოჯახის ფუნქციურობასა და ინტერნეტ/ონლაინ აზარტულ თამაშებს შორის: რაც მეტად ფუნქციურია ოჯახი, მით უფრო ნაკლებად მიმართავენ ინტერნეტ და ონლაინ აზარტულ თამაშს სტუდენტები. ასევე, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ვისზეც პანდემიასთან დაკავშირებულმა მეტმა სტრესორმა იმოქმედა, ის უფრო მეტად

თამაშობს ინტერნეტ თამაშებსა და ონლაინ აზარტულ თამაშებს. კვლევის მონაწილეების მიერ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა ონლაინ და აზარტული თამაშის მოხმარება პანდემიის პერიოდში, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პანდემია, სტრესი, ოჯახის ფუნქციურობა, თამაში

Abstract

The world has been facing a new challenge for the last few months. The challenge is linked to the new Coronavirus (Covid-19), which has quickly spread around the world, including Georgia. One of the main goals during a pandemic is to maintain mental health in the community. In terms of mental health, (including online gaming and online gambling), studenthood is one of the most vulnerable ages.

The aim of this study is to explore relationships between pandemic related stressors, online gaming and gambling and, family functioning/disfunctioning.

The study is based on a quantitative approach, an online survey. The study instrument was composed using three different questionnaires: Impact of the Pandemic Situation questionnaire; Family Assessment Device (FAD) and questionnaire on online gaming And online gambling extracted from – (ESPAD).

The study participants are students from different public and private universities (bachelor's, master's and doctoral levels), a total of 230 participants, of which 101 are male and 130 are female.

As a result of the analysis of the obtained data, the connection between family functioning and online gaming and gambling was found: The more functional the family, the less likely students are to resort to Internet and online gambling. Also, the results of the study showed that those who were affected by larger amount of pandemic related stressors were more likely to play online games and online gambling. The consumption of online gaming and online gambling by the study participants has significantly increased during the lockdown, both in males and females.

Key Words: Pandemic, Stress, Family functioning, Gaming, Gambling

მადლობა

მადლობას ვუხდი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს, ქალბატონ ნინო მახაშვილს და ამასთანავე, მოცემული ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს. ასევე, მადლობას ვუხდი ყველა ბაკალავრს, მაგისტრანტს და დოქტორანტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.